

# სოციალურ საწარმოთა ტურისტული კატალოგი

# რას გულისხმობს სოციალური მეწარმეობა?

სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალი, მაგრამ სწრაფად მზარდი მიმართულებაა საქართველოში და გულისხმობს ბიზნეს მოდელით გარკვეული საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებას.
ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოსაგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოს აქვს ორი მიზანი: სოციალური და ეკონომიკური.

დღესდღეობით, საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის გასაგებად უმეტესად ევროკავშირის განმარტებას იყენებენ, რომლის მიხედვითაც სოციალური საწარმო არის სოციალური ეკონომიკის ოპერატორი, რომლის მთავარი მიზანია სოციალური გავლენის შექმნა, ნაცვლად მფლობელებისთვის მოგების უზრუნველყოფისა. მისი საქმიანობა არის პროდუქტების და სერვისების მიწოდება ბაზარზე ინოვაციური და სამეწარმეო პრინციპებით და საკუთარ მოგებას უპირველეს ყოვლისა იყენებს სოციალური მიზნების მისაღწევად.  მისი მართვა ხორციელდება გამჭვირვალედ, მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომელთა, მომხმარებელთა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობით.

საქართველოში სოციალურმა მეწარმეობამ განვითარება დაახლოებით 10 წლის წინ დაიწყო და ახალი სოციალური საწარმოების შექმნის ტენდენცია მზარდია. დღეს საქართველოში 100-ზე მეტი სოციალური საწარმო არსებობს, რომლებსაც უკვე აქვთ ხელშესახები სოციალური შედეგები.

# რატომ სოციალური მეწარმეობა?

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობა განვითარებული იყოს იმ მნიშვნელოვანი როლებიდან გამომდინარეობს, რასაც ის ასრულებს საზოგადოებაში სოციალური ცვლილებებისთვის. სოციალური საწარმოების მიზნების სპექტრი მრავალფეროვანია და მათი როლი საზოგადოებაში შეიძლება იყოს, დასაქმების ხელშეწყობა, სოციალური სერვისების მიწოდება, მოწყვლადი რეგიონების / დასახლებული პუნქტების განვითარება, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვ.

# ქართლი




Igoeti
Tezi
Erada
Dzalisi
Tsilkani
Vardisubani
Naoza
Choporti
Akhalubani
წნული
Metekhi
Natakhtari
Jighaura
Aghaiani
Upper Chocheti
SHIDA KARTLI
MTSKHETA-MTIANETI
Kvemo
Khandaki
Saguramo
Navdaraantkari
იკორთა
Tserovani
Mtkvari
Tsitsamuri
Ertatsminda
Ezati
Idleti
Noste
Dzegvi
Tserovani



იკორთა
ტიხრული მინანქარი

## შექმნის ისტორია

სოციალური საწარმო “იკორთა” ტიხრული მინანქრის სახელოსნოა, რომელმაც საქმიანობა 2011 წელს დაიწყო წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ადგილობრივი ქალების მიერ ჩადებული მცირე ინვესტიციით შექმნილი სოციალური საწარმო, დღეს უკვე წარმატებული მინანქრის სახელოსნოს წარმოადგენს, რომელიც დევნილთა დასახლებაში ქმნის სამოქალაქო და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

## სოციალური მისია

მისიაა წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. ამისთვის საწარმო ზრუნავს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების დასაქმებაზე და ორგანიზებას უწევს პროფესიული გადამზადების კურსებს.

## რას სთავაზობს ’’იკორთა” სტუმრებს?

| ტიხრული მინანქრის მასტერკლასი | 90წთ |
|---|---|
| მასპინძლის გაცნობა და პრეზენტაცია ტიხრული მინანქრის შესახებ | 20წთ |
| მინანქრის მასტერკლასი, ნაკეთობების შეფერვა და გამოწვა | 30წთ |
| სერტიფიკატების გადაცემა და უკუკავშირი | 10წთ |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | 30წთ |



## ტიხრული მინანქრის მასტერკლასი

*(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-2 კაციანი ჯგუფი | 3-5 კაციანი ჯგუფი | 6-8 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|---|
| ფასი | 150₾ | 120₾ | 100₾ |

მიღების საათები - 09:00 - 17:00

ორშაბათი - კვირა

სივრცეები - სახელოსნო, დამატებითი სახელოსნო, საექსპოზიციო კუთხე

მასპინძელი - მემინანქრეები

მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, ინგლისური



**რეკომენდაციები:** *სასურველია ტური დაიჯავშნოს მინიმუმ ერთი კვირით ადრე*





## გაითვალისწინეთ

- შეუძლებელია მინანქრის ნაკეთობის ვორქშოპის დასრულებისთანავე თან წაღება ამიტომ უცხოელი სტუმრების შემთხვევაში სასურველია მინიმუმ 4 დღე ქონდეთ კიდევ საქართველოში ყოფნისათვის, რათა საწარმომ მოასწროს სამკაულის დასრულება და გადაცემა. სამკაულის გადაცემის პირობები ინდივიდუალური შეთანხმების საგანია
- სტუმარი არ უნდა შეეხოს ღუმელსა და გაცხელებულ ნივთებს, რათა თავიდან იქნას აცილებული დამწვრობის რისკი


www.ikorta.com ikortainfo@gmail.com +995 599 410 250

https://www.facebook.com/ikortaminanqari

https://www.instagram.com/ikorta_jewelry

წეროვანის დევნილთა დასახლება, ქუჩა N12, კოტეჯი N1963, საქართველო

https://goo.gl/maps/KVDJX9hySfLDmuDB6

# წნული



## შექმნის ისტორია

სოციალური საწარმო “წნული” უკვე 6 წელია რაც ფუნქციონირებს, საწარმოში მზადდება სხვადასხვა სახის დეკორატიული და გამოყენებადი ნივთები მათ შორის ავეჯი და დაწნული სკულპტურები.

## სოციალური მისია

“წნულის” მისიაა კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების პროფესიული უნარჩვევევის განვითარება შემდგომი დასაქმების მიზნით.



## რას სთავაზობს ’’წნული” სტუმრებს?

**წნული ავეჯის დამზადების ჩართულობითი მასტერკლასი 90წთ.**

| | |
|---|---|
| მასპინძლის გაცნობა | 15წთ |
| საამქროს დათვალიერება | 15წთ |
| მინიატურული ნივთების დამზადება, დაწვნა | 45წთ |
| პროდუქციის გამოფნა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | 15წთ |







## წნული ავეჯის დამზადება

*(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-10 კაციანი ჯგუფი | 11-15 კაციანი ჯგუფი | 16-20 კაციანი ჯგუფი | 21-30 კაციანი ჯგუფი | 31-40 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|---|---|---|
| ფასი | **100₾** | **110₾** | **120₾** | **130₾** | **140₾** |

მიღების საათები - 16:00 - 19:00

შაბათი - კვირა

სივრცეები - სახელოსნო, მისაღები სივრცე, ეზო, საექსპოზიციო კუთხე

მასპინძელი - ოსტატები

მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული,

**რეკომენდაციები:** *ვიზიტამდე 1 კვირით ადრე უნდა შეთანხმდეს "წნულის" ადმინისტრაციასთან თუ რა ნივთს დაამზადება სურს სტუმარს მასტერ-კლასის მიმდინარეობისას*

### *გაითვალისწინეთ*

- სტუმრების ვიზიტისას დაუშვებელია საამქროს რომელიმე დანადგარის ჩართვა/გამოყენება
- სივრცე ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის



+995 551 773 774

tsnuli.ts0@gmail.com

https://bit.ly/2BHKo14

გრიშაშვილის N4, კასპი, საქართველო — წნული

# კახეთი





ლურჯი ალავერდი
თემი
ნუკრიანის სახელოსნოები
Alaverdi
Artana
Sioni
Ikalto
Telavi
Tbilisi National Park
Mtskheta
Gombori
Ujarma
Sagarejo
Tbilisi
Kvareli
Kachreti
Signagi



## შექმნის ისტორია

სოციალურმა საწარმომ “ნუკრიანის სახელოსნოები” 2007 წლიდან დაიწყო საქმიანობა ა(ა)იპ სათემო ორგანიზაცია “ნუკრიანის” ბაზაზე. შემოქმედებითი სახელოსნოს დაფუძნება ეფექტური საშუალება აღმოჩნდა სოფლად მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდებისთვის დასაქმების ხელშეწყობისთვის.

## სოციალური მისია

“ნუკრიანის სახელოსნოების” სოციალური მისიაა ნუკრიანში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მათი დასაქმებისა და თვითრეალიზების ხელშეწყობით.

## რას სთავაზობს “ნუკრიანის სახელოსნოები” სტუმრებს?



| **ეთნოგრაფიული მასტერკლასი** | **90წთ** |
|---|---|
| მასპინძლის გაცნობა | **10წთ** |
| პურისა და ქიზიყური ნაზუქის ცხობა | **30წთ** |
| ჩურჩხელის ამოვლება | **20წთ** |
| თექის მასტერკლასი | **30წთ** |





ნუკრიანის სახელოსნოები

## ეთნოგრაფიული მასტერკლასები

*(ფასი მოცემულია ტურისტული ჯგუფისთვის)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-5 კაციანი ჯგუფი | 6-10 კაციანი ჯგუფი | 11-15 კაციანი ჯგუფი | 16-20 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| ფასი | **330₾** | **420₾** | **614₾** | **934₾** |

მიღების საათები - 10:00 - 19:00

ორშაბათი - კვირა

სივრცეები - ეზო ეთნოგრაფიული ელემენტებით

მასპინძელი - სოფლის ადგილობრივი მაცხოვრებლები

მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, რუსული





**რეკომენდაციები:**

*სასურველია ნუკრიანში ვიზიტის დროს თან გახლდეთ ტურისტული გიდი.*

*დიდი ჯგუფის შემთხვევაში ვიზიტი ნუკრიანში უნდა დაიჯავშნოს 1 კვირით ადრე*

## გაითვალისწინეთ

- თონეში პურის ჩასკვრის მასტერკლასში მონაწილეობისას სასურველია დამატებითი სიფრთხილის გამოჩენა დამწვრობის თავიდან არიდების მიზნით.

+995 577 202 111 ikocun.nukriani@yahoo.com

https://www.facebook.com/nukrianissakhelosnoebi/

სოფელი ნუკრიანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, საქართველო





## შექმნის ისტორია

თემი“ ერთ-ერთი პირველი სოციალურად ორიენტირებული, არამომგებიანი საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო, რომელმაც არა-ინსტიტუციური გარემო შექმნა სოციალურად დაუცველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის. დაფუძნების დღიდან, 1991 წლის გაზაფხულიდან, “თემი” ორგანულ/ბიო - სოფლის მეურნეობას მისდევს, რომლის მიზანსაც სოციალურად დაუცველი მაცხოვრებლებისთვის თავშესაფრის მიცემა, ოჯახური გარემოს შექმნა, დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა და მათი სამუშაო უნარების გაუმჯობესება წარმოადგენს.

## სოციალური მისია

“თემის” სოციალური მისიაა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ისეთი უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას.

## რას სთავაზობს “თემი” სტუმრებს?

სერვისი 1:

### ბიო ღვინის დეგუსტაცია და “თემის სუფრა”

**90ლარი**

| | |
|---|---|
| თემის ტური | 20ლარი |
| ღვინის დეგუსტაცია | 20ლარი |
| “თემის სუფრა” - ორგანული პროდუქტების ლანჩი | 60ლარი |





სერვისი 2:

### ბიო ღვინის დეგუსტაცია, “თემის სუფრა” და ეთნო მასტერკლასები

**2სთ 40ლარი**

| | |
|---|---|
| თემის ტური | 20ლარი |
| ღვინის დეგუსტაცია | 20ლარი |
| ეთნო მასტერკლასები - ჩურჩხელის ამოვლება და პურის ცხობა | 60ლარი |
| “თემის სუფრა”- ორგანული პროდუქტების ლანჩი | 60ლარი |



| სერვისი 1: **ბიო ღვინის დეგუსტაცია და “თემის სუფრა”** | | | *(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)* |
|---|---|---|---|
| **მომხმარებლის რაოდენობა** | **1-5 კაციანი ჯგუფი** | **6-11 კაციანი ჯგუფი** | **12 კაციანი ჯგუფი** |
| **ფასი** | **70₾** | **65₾** | **60₾** |

| სერვისი 2: **ბიო ღვინის დეგუსტაცია, “თემის სუფრა” და ეთნო მასტერკლასები** | | | *(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)* |
|---|---|---|---|
| **მომხმარებლის რაოდენობა** | **1-5 კაციანი ჯგუფი** | **6-11 კაციანი ჯგუფი** | **12 კაციანი ჯგუფი** |
| **ფასი** | **X** | **95₾** | **90₾** |

*“თემის სუფრის” ვეგეტარიანული მენიუს შერჩევის შემთხვევაში თითოეული სერვისის საფასური მცირდება 10 ლარით.*




- მიღების საათები - 10:00 - 20:00
- ორშაბათი- კვირა
- სივრცეები - ღია და დახურული სარესტორნო სივრცე, ღვინის მარანი, ეზო, თონე, ბოსტანი, ვენახი
- მასპინძელი - ადგილობრივები და უცხოელი მოხალისეები
- მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, ინგლისური, გერმანული




რეკომენდაციები:

*სასურველია რომ მენიუს და მასტერკლასების შეკვეთა მოხდეს მინიმუმ ერთი დღით ადრე;*

*გამოხატული სურვილის შემთხვევაში “თემს” შეუძლია მომხმარებელს შესთავაზოს ველოსიპედების ქირაობა, რთველისა და ყურძნის დაწურვის პროცესში მონაწილეობა, ხინკლის მოხვევის მასტერკლასი.*



## გაითვალისწინეთ

თონეში პურის ჩაცხობის მასტერკლასში მონაწილეობისას სასურველია დამატებითი სიფრთხილის გამოჩენა დამწვრობის თავიდან არიდების მიზნით.

https://www.temi-community.org/ka

+995 551 927 623

contact@temi-community.org

https://www.facebook.com/TEMI.community/

https://www.instagram.com/communitytemi/

სოფელი გრემი, კახეთის რაიონი, საქართველო

/ https://g.page/temi-gremi?share



# AB ლურჯი ალავერდი

## შექმნის ისტორია

არასამთავრობო ორგანიზაცია “ბრიჯ-ინოვაცია და განვითარე-ბა”-მ ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ალავერდში მცხოვრებ ქალებთან ერთად ჩამოაყალიბა სოციალური საწარმო „ლურჯი ალავერდი“ მდგრადი სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეკონომიკური აქტივობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს უქმნის.







## სოციალური მისია

სოციალური საწარმოს მიზანია ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, დასაქმების და გადამზადების გზით. ასევე მდგრადი სოფლის ტურიზმის შესაძლებლობების პოპულარიზაცია და დამკვიდრება ადგილობრივ თემში.

# რას სთავაზობს "ლურჯი ალავერდი" სტუმრებს?



| | |
|---|---|
| **სერვისი 1: ყველის დეგუსტაცია და ლანჩი** | **90ლ** |
| ყველის დეგუსტაცია ღვინითა და თაფლით | 30ლ |
| ლანჩი ტრადიციული კერძებითა | 60ლ |
| **სერვისი 2: ყველის ამოყვანის მასტერკლასი** | **2სთ 30ლ** |
| ყველის ამოყვანის მასტერკლასი | 60ლ |
| ყველის დეგუსტაცია ღვინითა და თაფლით | 30ლ |
| ლანჩი ტრადიციული კერძებით | 60ლ |

**სერვისი 1: ყველის დეგუსტაცია და ლანჩი** *(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-5 კაციანი ჯგუფი | 6-25 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|
| ფასი | **80₾** | **70₾** |

**„სერვისი 2“-** ით სარგებლობის შემთხვევაში „სერვისი 1“-ით გათვალისწინებულ ღირებულებას დაემატება 400 ლარი, ჯგუფის სიდიდის მიუხედავად

- მიღების საათები - 10:00 - 20:00
- ორშაბათი - კვირა
- სივრცეები - კაფე და ყველის შესანახი მაცივარი
- მასპინძელი - "ლურჯი ალავერდის" ადგილობრივი თანამშრომლები
- მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, ინგლისური, რუსული

**რეკომენდაციები:** *სასურველია ტური დაიჯავშნოს მინიმუმ ერთი კვირით ადრე*





**"ლურჯ ალავერდში"** შესაძლებელია ღამის თევა.
სასტუმრო აღჭურვილია 19 საწოლით.

**"ლურჯ ალავერდში"** შესაძლებელია დამატებითი გასართობი ღონისძიებების ორგანიზება: სამაგიდო თამაშები, თევზაობა, პიკნიკი ალაზანზე, ფილმების ჩვენება და სხვა.

**გაითვალისწინეთ:**
*სოციალური საწარმოს შემოთავაზებული საკვები პროდუქტების უმეტესობა შეიცავს ლაქტოზას.*

https://www.alaverdiblue.com

https://www.travelbsst.com

ikonkareli@bridge.org.ge

+995 591 111 977

https://www.facebook.com/pg/Alaverdi-Blue-ლურჯი-ალავერდი

კახეთის რეგიონი, ახმეტა, სოფელი ალავერდი, მეორე ქუჩა N12

https://www.google.com/maps/place/Alaverdi+Blue/@42.0387387,45.3688488,346m/data=!3m1!1e3!4m5!3m4!1s0x4045b5f8f9559bed:0x212f556678f0ec94!8m2!3d42.0386924!4d45.369419



# თბილისი




ესტია
Rustaveli M/S
Mtkvari
Opera and Ballet
Dodaena Park
Shota Rustaveli Ave
Alexander Garden
Orbeliani
Georgian National Museum
Liberty Square
DZVELI TBILISI
ძველი თბილისი
ბაბალე
Freedom Square
Mtkvari
თბილისის სამების საკათედრო ტაძარი
Bike Park
Bridge Of Peace
Avlabari



# ბაბალე

## შექმნის ისტორია

ბაბალე სოციალური საწარმოა, რომელმაც ფუნქციონირება პროექტის სახით 10000 ლარის გრანტით 2015 წელს დაიწყო.მისი დამფუძნებლები და წევრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მშობლები არიან. 2018 წლის ივლისიდან კი ფუნქციონირებს, როგორც „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" შპს “სოციალური საწარმო ბაბალე”. საწარმოს 100%-იანი მფლობელი თავად დამფუძნებელი ორგანიზაციაა. ის აერთიანებს ორ სივრცეს: შემოქმედებით სახელოსნოსა და სალონს. საწარმოში მზადდება ხის, კერამიკისა და ტექსტილის დეკორატიული და გამოყენებითი ნივთები, თითოეული მათგანი გამორჩეული, უნიკალური და ხელნაკეთია.

## სოციალური მისია

დაუნის სინდრომის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების  უზრუნველყოფა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით.
“ბაბალე” ქმნის თანასწორ სამუშაო გარემოს სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის.



## რას სთავაზობს “ბაბალე” სტუმრებს?

| | |
|---|---|
| სერვისი 1: **კერამიკის ნაწარმის მოხატვის ჩართულობითი მასტერკლასი** | **1სთ 35წთ** |
| გაცნობა და ინტერაქცია | **10წთ** |
| კერამიკის ნაწარმის მოხატვის პროცესში მონაწილეობა | **60წთ** |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა | **15წთ** |
| მასპინძელთან ინტერაქცია (სასმლისა და ტკბილეულის თანხლებით) | **10წთ** |

| | |
|---|---|
| სერვისი 2: **კერამიკის ნაწარმის მოხატვის მასტერკლასი** | **55წთ** |
| გაცნობა და ინტერაქცია  - 10 წუთი | **10წთ** |
| კერამიკის ნაწარმის მოხატვის პროცესის დასწრება | **20წთ** |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა | **15წთ** |
| მასპინძელთან ინტერაქცია (სასმლისა და ტკბილეულის თანხლებით) | **10წთ** |





| (ფასი მოცემულია 1 პერსონაზე) | სერვისი 1 | | სერვისი 2 | |
|---|---|---|---|---|
| მომხმარებლის რაოდენობა | 1-6 კაციანი ჯგუფი | 7-15 კაციანი ჯგუფი | 1-6 კაციანი ჯგუფი | 7-15 კაციანი ჯგუფი |
| ფასი | 100₾ | 70₾ | 50₾ | 40₾ |





მიღების საათები - 11:00 - 20:00

ორშაბათი - შაბათი

სივრცეები - სახელოსნო/საექსპოზიციო დარბაზი ნაკეთობების შესაძენად/მოსასვენებელი სივრცე

მასპინძელი - დამფუძნებელი, მხატვრები

მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, ინგლისური

*დანიშნულების პუნქტამდე მისვლა მხოლოდ ფეხით არის შესაძლებელი. ალექსანდრე დიუმას ქუჩამდე მისასვლელად შესაძლებელია ნებისმიერი სახის მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყენება.*

**რეკომენდაციები:** *მოხატვის პროცესში მონაწილეობის ან დასწრების სურვილის შემთხვევაში სასურველია ვიზიტი დაიჯავშნოს 1 კვირით ადრე*

www.babale.ge +995591974351

babaleinfo@gmail.com

https://www.facebook.com/babalestore

ალექსანდრე დიუმას N21, თბილისი, საქართველო.

Babale



## შექმნის ისტორია

სოციალური საწარმო პოტერია 2018 წელს დაარსდა, ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო „ესტიას" მიერ. საწარმოს დაფუძნების იდეა უკავშირდებოდა დამფუძნებელთა სურვილს, შეენარჩუნებინათ ქართული ტრადიციული რეწვის დარგის - თიხისა და კერამიკის დამუშავების ტექნიკა და პოპულა-რიზაცია გაეწიათ მისთვის.

## სოციალური მისია

"პოტერიას" მისიაა კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი პროფესიის ათვისებითა და შემოქმედებით სახელოსნოში დასაქმების მეშვეობით.

## რას სთავაზობს "პოტერია" სტუმრებს?

სერვისი 1:

### კერამიკის ძერწვის ჩართულობითი მასტერკლასი

**75₾თ**

| | |
|---|---|
| სახელოსნოს დათვალიერება | **15₾თ** |
| კერამიკის ნაწარმის დამზადება | **30₾თ** |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | **30₾თ** |




სერვისი 2:

### კერამიკის მოხატვის ჩართულობითი მასტერკლასი

**70₾თ**

| | |
|---|---|
| სახელოსნოს დათვალიერება | **15₾თ** |
| მოხატვის პროცესში მონაწილეობა | **30₾თ** |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | **30₾თ** |



სერვისი 3:

### კერამიკის ძერწვისა და მოხატვის ჩართულობითი მასტერკლასი

**90₾თ**

| | |
|---|---|
| სახელოსნოს დათვალიერება | **15₾თ** |
| კერამიკის ნაწარმის დამზადება | **25₾თ** |
| მოხატვის პროცესში მონაწილეობა | **20₾თ** |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | **30₾თ** |



## სერვისი 1

*(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-2 კაციანი ჯგუფი | 3-5 კაციანი ჯგუფი | 6-10 კაციანი ჯგუფი | 11-15 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| ფასი | 100₾ | 70₾ | 50₾ | 40₾ |

## სერვისი 2

*(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-2 კაციანი ჯგუფი | 3-5 კაციანი ჯგუფი | 6-10 კაციანი ჯგუფი | 11-15 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| ფასი | 90₾ | 60₾ | 40₾ | 35₾ |

## სერვისი 3

*(ფასი მოცემულია 1 პერსონაზე)*

| მომხმარებლის რაოდენობა | 1-2 კაციანი ჯგუფი | 3-5 კაციანი ჯგუფი | 6-10 კაციანი ჯგუფი | 11-15 კაციანი ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| ფასი | 120₾ | 90₾ | 75₾ | 65₾ |



მიღების საათები - 15:00 - 19:00

ორშაბათი-პარასკევი

სივრცეები - სახელოსნო, საექსპოზიციო დარბაზი

მასპინძელი - კერამიკოსები, მხატვრები

მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, ინგლისური, რუსული

მუნიციპალური ტრანსპორტი

კერძო ტრანსპორტი

**რეკომენდაციები:**

*1. კერამიკის ნაწარმის დამზადების შემდეგ საჭიროა მისი გამოშრობა და გამოწვა, რასაც სჭირდება 1 კვირა. თქვენ მიერ დამზადებული ნივთის წასაღებად, სასურველია პოტერიას ესტუმროთ საქართველოში ვიზიტის პირველ დღეს კერამიკის ნივთების დამზადების პროცესში მონაწილეობისთვის და ბოლო დღეს თქვენ მიერ დამზადებული ნივთების წასაღებად.*

*2. სასურველია პოტერიაში ვიზიტის დროს თან გახლდეთ ტურისტული გიდი.*

*3.სასურველია ვიზიტი პოტერიაში დაიჯავშნოს 1 კვირით ადრე.*



## *გაითვალისწინეთ*

- ინსტრუქტორის თანდასწრების გარეშე, სტუმარი არ უნდა შეეხოს სახელოსნოს დაზგებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი რისკი.

- სტუმრის მიერ შექმნილი კერამიკის ნაკეთობა დამუშავების ერთკვირიანი პროცესის გავლის გარეშე არ იქნება გამოსადეგი გამოსაყენებლად, თუმცა იგი შეიძლება იყოს მოგონებებით დატვირთული ლამაზი სუვენირი

+995577979950 potteria.se@gmail.com

https://bit.ly/3f2s9BO / Potteria - პოტერია

წინამძღვრიშვილის N60, თბილისი, საქართველო.

https://goo.gl/maps/TMHMJ6xx8SKRdboo6



## შექმნის ისტორია

ხის პროდუქციის სოციალური საწარმო “კოდალა” 2013 წელს დაფუძნდა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ ინიციატივით. სახელოსნოში დასაქმებულ პირთა უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რომლებიც ამზადებენ ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშოებსა და სუვენირებს.

## სოციალური მისია

“კოდალას” მისიაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის გზით.

## რას სთავაზობს “კოდალა” სტუმრებს?

სერვისი 1:

### სათამაშოს მოხატვის ჩართულობითი მასტერკლასი

**1სთ. 20წთ**

| | |
|---|---|
| მანსპინძლის გაცნობა და სახელოსნოს დათვალიერება | 15წთ |
| სათამაშოს მოხატვის მასტერკლასი | 45წთ |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | 20წთ |





სერვისი 2:

### ხის ნაკეთობების დამზადების სანახაობრივი მასტერკლასი

**60წთ**

| | |
|---|---|
| მასპინძლის გაცნობა და სახელოსნოს დათვალიერება | 15წთ |
| სათამაშოს დამზადების პროცესის დასწრება | 25წთ |
| ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, მასპინძელთან ინტერაქცია | 20წთ |



| სერვისი 1: | | (ფასი მოცემულია 1 პერსონაზე) |
|---|---|---|
| მომხმარებლის რაოდენობა | 5-15 კაციანი ჯგუფი | 16-25 კაციანი ჯგუფი |
| ფასი | **25₾** | **20₾** |

| სერვისი 1: | | (ფასი მოცემულია 1 პერსონაზე) |
|---|---|---|
| მომხმარებლის რაოდენობა | 5-15 კაციანი ჯგუფი | 16-25 კაციანი ჯგუფი |
| ფასი | **15₾** | **10₾** |



- მიღების საათები - 10:00 - 19:00
- ორშაბათი-შაბათი
- სივრცეები - სახელოსნო, დამატებითი სახელოსნო, საექსპოზიციო კუთხე
- მასპინძელი - დამფუძნებელი და მხატვარ-დიზაინერი
- მასპინძლის სასაუბრო ენა - ქართული, ინგლისური, რუსული

## გაითვალისწინეთ

სტუმარი არ უნდა შეეხოს ჩარხე-ბსა და ბასრ ხელსაწყოებს, ფი-ზიკურ დაზიანებათა თავიდან აცილების მიზნით.

სტუმრებს შეუძლიათ მომენტა-ლურად წაიღონ მათ მიერ დამზადებული ნაკეთობა

რეკომენდაციები: *სასურველია ტური დაიჯავშნოს მინიმუმ ერთი კვირით ადრე*

www.kodalasoc.ge +995599743547 kodalasoc@gmail.com

https://www.facebook.com/woodwork.kodala/

სამების საკათედრო ტაძრის ეზო

https://goo.gl/maps/Q4v5GyGi45u6hKVs5



# სოციალური კაფეები







## სოციალური მისია

“მზიურის”სოციალური მისიაა, შევქმნათ ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის ხელმისაწვდომი  კაფე, რომელიც არის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების მხარდამჭერი და ინიციატორი.

კაფე **მზიური**









## „მზიურის კაფე“ მომხმარებელს სთავაზობს:

ადაპტირებულ სოციალურ კაფეს ქალაქის ცენტრში, რეკრეაციულ ზონაში;

კვების მიწოდების სერვისს სხვადასხვა ღონისძიებებზე;

ღონისძიების გასამართ შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ, ადაპტირებულ სივრცეს.









www.cafemziuri.ge

+995577687575

cafemziuri@gmail.com

https://www.facebook.com/cafemziuri

ჭავჭავაძის 23, თბილისი, საქართველო

https://goo.gl/maps/4ef4NAX5Uw5DUNmN6



კაფუნე

## სოციალური მისია

„კაფუნეს“ სოციალური მისიაა რუსთავში მცხოვრები, შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი ჯგუფებისა და ახალგაზრდების გაძლიერება პროფესიული გადამზადების, დასაქმებისა და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.



## „კაფუნე“ მომხმარებელს სთავაზობს:

კაფეს მომსახურებას, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ, დააგემოვნონუგემრიელესი კერძები

სივრცეს, სადაც იმართება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, კულტურული და არაფორმალური განათლების ღონისძიებები

თავისუფალ სცენას, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, საზოგადოებას წარუდგინონ საკუთარი შესაძლებლობები, იდეები და შემოქმედება











+995 599 766 688 info@cafune.social

https://www.facebook.com/socialcafecafune/

რუსთავი, რუსთაველის 30ა

https://www.facebook.com/socialcafecafune/



## სოციალური მისია

“ცოდნის კაფეს” სოციალური მისიაა ცოდნის მიღების, შემეცნებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობების შექმნა რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის. “ცოდნის კაფე” არის სივრცე, სადაც შესაძლებელია კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების გამართვა როგორც ახალგაზრდების, ისე ბავშვებისა და 60+ ადამიანე-ბისთვის. თავისი საქმიანობით „ცოდნის კაფე“ ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და 60+ ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას.

## „ცოდნის კაფე“ მომხმარებელს სთავაზობს:

„ცოდნის კაფე“ მულტიფუნქციური ცენტრია, რომელიც სხვადასხვა სივრცეს აერთიანებს. სოციალური საწარმო ადგილობრივებს სთავაზობს იმ მომსახურებას, რაზე ხელმისა-წვდომობაც დაბალია მუნიციპალიტეტის მასშტაბით.



## “ცოდნის კაფეს” სივრცეშია:

სოციალური კაფე მრავალფეროვანი მენიუთი

არაფორმალური განათლების ცენტრი, სადაც იმართება სამუშაო შეხვედრები, დისკუსიები, კონოჩვენებები და სხვა აქტივობები

წიგნის მაღაზია 10-ზე მეტი გამომცემლობის წიგნებით



ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი მულტი-მედია ბიბლიოთეკა 1000-ზე მეტი თანამედროვე წიგნითა და კომპიუტერით

რეზიდენცია, რომელიც მასპინძლობს ხელოვა-ნებს მთელი მსოფლიოდან, რათა რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება









+995 595 964 656 civicinit@gmail.com

https://www.facebook.com/tsodniscafe/

დავით აღმაშენებელის ქუჩა III შესახვევი N3,
წნორი, საქართველო

https://goo.gl/maps/gjsKTVEawPJ6UpzS6







## სოციალური მისია

სოციალური კაფეს „რვას+1“ სოციალური მისიაა ოზურგეთში ლიტერატურული კაფეს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მსოფლიოს სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების შესახებ, მათ დასაქმებას და ისეთი სივრცის ფუნქციონირებას, სადაც შესაძლებელი იქნება განტვირთვა/მუშაობა მყუდრო და მშვიდ გარემოში.



## კაფე „რვას +1“ მომხმარებელს სთავაზობს:

ადაპტირებულ სოციალურ კაფეს ოზურგეთში ღონისძიების გასამართ ადაპტირებულ სივრცეს

საჯარო ლექციებს, გამოფენებს, კინოჩვენებებსა და მუსიკალურ ღონისძიებებს არაფორმალურ და საგანმანათლებლო შეხვედრებს








+995 593 115 040

ypuozurgeti@yahoo.com

https://www.facebook.com/cafe8plus1/

გაბრიელ ეპისკოპოსი N3ა, ოზურგეთი, საქართველო

https://goo.gl/maps/bKhDXVjxrutprQhE6



## სოციალური მისია

„მეგო ბარის“ სოციალური მისიაა უფასო სამუშაო სივრცესა და რესურსებზე ხელმისა-წვდომობის გაზრდა სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. სოციალური კაფე ერთგვარ ახალგაზრდულ პლატფორმას ქმნის ქალაქში, რომელიც ადგილობრივებისთვის თავშეყრის საყვარელი ადგილია.











## „მეგო ბარი“ მომხმარებელს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს.

ჩამონათვალშია:

საერთო სამუშაო სივრცე ახალგაზრდებისთვის

სივრცის მომსახურება საჯარო შეხვედრებისა და ღონისძიებებისთვის

მოძრავი სივრცე "მეგო ბასი", რომელიც მომხმარებელს ადგილზე სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებას (ტრენინგი, პრეზენტაცია, სამუშაო შეხვედრები, ფილმის ჩვენებები, მუსიკალური ღონისძიებები, სწრაფი კვება)

კაფე-ბარის მომსახურება და ბილიარდის სივრცე, რომელიც 18:00 სთ-დან ფუნქციონირებს

+995 599 550 057

youthforsamegrelo@gmail.com

https://www.facebook.com/megobar.ge

მეუნარგიას ქუჩა #12, ზუგდიდი, საქართველო

https://goo.gl/maps/rVQTKx3kJcTgY3VJ7




# სოციალური კონცეფციის მაღაზია







## სოციალური მისია

“ესკის” სოციალური მისიაა ერთ სივრცეში გააერთიანოს სოციალური საწარმოების პროდუქცია და მომხმარებელს შესთავაზოს საქართველოში შექმნილი სოციალური დატვირთვის მქონე ნივთები, რომელთა შეძენაც სამყაროზე დადებით გავლენას ზრდის.



## “ესკიში” დაგხვდებათ 20 სოციალური საწარმოს 350+ დასახელების ნივთი

მათ შორის:

ხელნაკეთი დეკორაციები

ტრადიციული რეწვის ნივთები

აქსესუარები და სამკაულები

შემეცნებითი ფუნქციის მქონე ნივთები

ხის ნაკეთობები და სათამაშოები

საკანცელარიო ნივთები









eski.conceptstore@gmail.com

: https://www.facebook.com/profile.php?id=100085567043910

https://instagram.com/eski_social_concept_store?igshid=YmMyMTA2M2Y=

ნატო ვაჩნაძის ქუჩა #7, თბილისი, საქართველო

https://goo.gl/maps/UuKhsPnyJJk6Hg4E9

**სოციალურ საწარმოთა ტურისტული კატალოგი დამზადდა „სოციალური მეწარმეები ტურიზმისთვის“ (SET) პროექტის ფარგლებში**

პროქტის მიზანია სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემისა და სოციალური გავლენის განვითარება, მცირე და საშუალო სოციალურ საწარმოთა ტურისტულ სექტორში ჩართულობით.

პროექტი მხარდაჭერილია ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და ხორციელდება სოციალურ საწარმოთა ალიანსის, ლატვიის სოციალური მეწარმეობის ასოციაციასა და რეგიონული მდგრადი განვითარების ინსტიტუტის მიერ.

Ministry of Foreign Affairs Republic of Latvia

SEA

SOCIAL ENTREPRENEURSHIP ASSOCIATION OF LATVIA

RSDI